# საქართველო

№ 17 (44) ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 25 აპრილი 1943 წ.

# „ქრისტე აღსდგა!“



გაზაფხული!..

მთელი თავისი მშვენიერებით იღვიძებს უტყვი ბუნება. მზის ქათიბითა და ზურმუხტოვანი სამოსით ირთვება მიდამო. სიცოცხლე ვით ნექტარი გადმოსჩქეფს ადამიანის გულის სალხენად...

გაზაფხული!..

გაცივებული დედა-მიწა იშმუშნის დამზრალ გულ-მკერდს, იტალღება ყამირი, მუსიკობს თმა-ხუჭუჭა ტყე, ველზე გაისმის ოროველა, მთაში სტვენს სალამური. ბუნების ამ მეჯლის აშვენებს ფრიად სასიხარულო დღესასწაული — სიცოცხლის ძალთა განახლებისა, აყვავებისა, უკეთილშობილესი ოცნებებისა და ფიქრებისა — ქრისტეს აღდგომა. ქრისტიანული სარწმუნოებისა და მამულისადმი სიყვარულის მხურვალე გზნებით უძველესი დროიდან ზეიმობდა ქართველი ხალხი ამ დღეს.

აღდგომა!.. ციხკარი!.. შეღებილი კვერცხი!.. სააღდგომო ზარების გუგუნი!.. რამდენი ტკბილი და საოცნებო მოგონებაა დაკავშირებული ამ დღესასწაულთან?!. აღდგომა არ იყო მარტოოდენ რელიგიური დღესასწაული. საზეიმოდ მორთული ხალხი მიდიოდა რა სალოცავად საყდარში, ილოცვიდა ქრისტე ღმერთის დიდებული ხატის წინაშე, ეფიცებოდა მეუფეს ერთგულებას სარწმუნოებაზე, მშობელ მიწაზე...

აღდგომა — კეთილის ბოროტზე გამარჯვების დღეა. იგი ამშვენიერებდა და წარმატს ხდიდა ჩვენს სისხლჭარბ ეროვნულ ცხოვრებას — ამიტომ უყვარდა ასე გატაცებით იგი ჩვენს ხალხს და ელოდა მიუთმენლად ამ საყოველთაო-სახალხო ზეიმს...

აღდგომის ღამეს სამრეკლოებზე შემოჰკრავდნენ ზარებს, მათი გუგუნი იმედის შუქს მოაფრქვევდა ჩვენს ოჯახებს. ჟრიამულითა და ხალისით, მტერზე და ბოროტზე გამარჯვების ღრმა რწმენით მიდიოდა ხალხი წირვაზე. ქალაქებში და სოფლებში გაზაფხულის ლურჯ ჰაერში კიაფობდნენ კელაპტრები. საყდარში იდგა ლოცვა ღვთის სადიდებლად. „ქრისტე აღსდგა“ ამბობდა მღვდელი... „ჭეშმარიტად!..ჭეშმარიტად“!..გრგვინავდა ხმა ხალხისა...ეს იყო ეროვნული ერთსულოვნების გამოძახილი, ქრისტიანული სარწმუნოებისადმი თავდადების აღქმა. ქრისტიანობა და მამული, ქრისტეს სახელი და ქართველობა ორი განუყრელი მცნება იყო, ამიტომ აღდგომის დღე, ქრისტეს ბრწყინვალე დღე — ჩვენი ხალხის ეროვნული დღესასწაული იყო.

ბოლშევიკებმა ჩვენს ხალხს დაუნგრიეს ღვთაების ტაძრები, აღუკრძალეს ლოცვა, წაართვეს ქრისტეს აღდგომის თავისუფლად დღესასწაულის უფლება, ეს ათასწლოვანი ტრადიციული დღე. მაგრამ ჩვენი მამები, ძმები მაინც არ ივიწყებდნენ ღვთის სამსახურს, ბოლშევიკების დევნისა და სასტიკი რეჟიმის ქვეშაც მალულად ახერხებდნენ ედღესასწაულათ აღდგომა...ქართველ ხალხს უყვარდა თავისი სარწმუნოება, მამაპაპათა წმინდა სისხლითა და ძვლებით დაცული, ამიტომ იგი გულმხურვალედ გულთან ერთად დაატარებდა მისადმი სიყვარულის გრძნობას...

დღეს ჩვენ, ქართველ ლეგიონერებს, სამშობლოს გარედ პირველად გეიხდება ქრისტეს აღდგომის თავისუფლად ზეიმი. აღდგომის დღეს ჩვენ სიხარულით შემოვსძახებთ ტრადიციულ სიმღერას „ქრისტე აღსდგა“ და მჭექარე ხმით შევსძახებთ: „ჭეშმარიტად!.. ჭეშმარიტად!..“

დე, ეს ხმები გაიგონონ ჩვენმა მშობლებმა, დებმა, ძმებმა, დაჩაგრულმა ოჯახებმა, რომელთათვისაც ვიბრძვით დღეს...დე, მათაც ალანთებდეს ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენა...

მოვა დრო განთავისუფლდება ქვეყანა. ჩვენი ჯვარცმული, ვით ქრისტე ღმერთი!..

კვლავ დაიგუგუნებენ სააღდგომო ზარები!..

მოვა დრო და თავისუფალ ქართულ მიწაზე ვიმღერებთ „ქრისტე აღსდგას“, მხნეობისა და სიხარულის ცრემლებთან ერთად შემოკრავთ შეღებილ კვერცხს-კვერცხზე,ჩავეკვრით მკერდში ერთმანეთს და მთელი აღგზნებით შემოვსძახებთ: „აღსდგა ქრისტე ღმერთი მკვდრეთით!.. განთავისუფლდა ქვეყანა ჯვარცმული!.. „ჭეშმარიტად!.. ჭეშმარიტად!..“

## ალდგომა

შუაღამე გადავიდა, ასტყდა, ასტყდა ზარის რეკა,
დიდი ზარიც ბოხს ხმას აძლევს, ზარბაზანმაც დაიჭექა!
ადექ, გოგო, ადე, ადე! ხალხი მიდის საყდრისკენა,
ადექ ჩქარა, ტანთ ჩავიცოთ, დავგვიანდით მარტო ჩვენა...

ყველა ახლით მოკაზმულა, ხელთ უჭირავთ კელეპტრები...
ადე, ბიჭო, ტანთ ჩაიცვი, მაგ საბანში რაღას ძვრები?!
აგერ, ზარებს მოუხშირეს, ხალხი იყრის მეტანიას,
საყდრები სულ ლაპლაპებენ, გარს უვლიან ლიტანიას...

მოვიკაზმეთ და გავსწიეთ, ეკლესია მხიარულობს,
ყველას ტუჩზე ღიმი უქრის, მღვდელი გალობს და ლოცულობს!
აგერ, მღვდელმა შეიძახა: „ქრისტე აღსდგა!“ და ჩვენც ცქვიტად
ვუპასუხეთ სუყველამა: „ჭეშმარიტად!“ „ჭეშმარიტად!“

ქრისტე აღსდგა! მიყვარს ეს დღე, მიყვარს, მიყვარს, მიყვარს დიდად...
მოდი, გოგო, გადაგკოცნო! „ქრისტე აღსდგა!“ „ჭეშმარიტად!“
მოდი, კვერცხი კვერცხსა დავკრათ, მაგრად იყავ და კირკიტად...
„ქრისტე აღსდგა!“ „ქრისტე აღსდგა!“ „ჭეშმარიტად!“ „ჭეშმარიტად!“

რ. ერისთავი

## ჰიტლერის დაბადე-ბის დღისათვის

**ადოლფ ჰიტლერის დაბადების დღის აღსანიშნავად, დოქტორ გებელსმა გერმანელი ხალხის სახელით ტრადიციული წესით მისასალმებელი სიტყვით მიმართა ადოლფ ჰიტლერს.**

**გერმანიის ხალხი,— სთქვა დოქტორ გებელსმა, ხვდება ამ დღეს, იმ მომენტში, როდესაც ომი შევიდა მეტად დაძაბულ და მკაცრ სტადიაში. ომი მოედო ხუთ კონტინენტს და მიიღო ისეთი გიგანტური სახე, რომ არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია იდგეს ამ ფაქტის გარეშე. სხვა ომებისაგან განსხვავებით, ეს საქმე ეხება არა ახალ საზღვრებს, არამედ თვით ხალხთა ყოფნა არ ყოფნას.**

**ამ ომს,გერმანიის ხალხი აწარმოებს ცივი რეალიზმითა და მხურვალე ფანატიზმით საბოლოო გამარჯვებამდე, —განაცხადა თავის სიტყვის დასასრულს დოქტორ გებელსმა.**

**გერმანელ ხალხს, მოწოდებით მიმართა აგრეთვე იმპერიის მარშალმა გერინგმა, რომელმაც მოუწოდა ხალხს. კიდევ უფრო მეტი თავდადებითა და შემოქმედიბითი უნარით დაუმტკიცოს ერთგულება ბელადს, გერმანიის გამანთავისუფლებელისა და დასავლეთის კულტურის მხსნელს.**

---

## იტალიის კუნძულებზე

დუჩეს განკარგულების საფუძველზე იტალიის დიდი კუნძულები სიცილიასა და სარდინიაზე, აგრეთვე მასთან ახლო მდებარე სხვა კუნძულებზე გამოცხადებულია სამხედრო წესები. დადგენილება ძალაშია 15 აპრილიდან. ამ კუნძულებს აქვთ უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა იტალიის დაცვისათვის.

ინგლის-ამარიკის მფრინავებმა, რომლებიც აწარმოებენ ტერორისტულ თავდასხმებს სიცილიისა და სარდინიის მშვიდობიან მცხოვრებლებზე, დაიმსახურეს სიძულვილი ამ კუნძულების მცხოვრებთა შორის. 13 აპრილს ინგლის-ამერიკელმა მფრინავებმა ჩამოყარეს თვითმწერი ფანქრები და კალმის ტარები, რომელშიაც მოთავსებულია ამაფეთქებელი ნივთიერებანი.

ძნელია იმის წარმოდგენა თუ რა სამხედრო მიზნებს ისახავს მათი ასეთი მოქმედებანი იმ დროს, როცა ამის შედეგად შეიძლება დაზარალდეს უმთავრესად მშვიდობიანი მოსახლეობა, ბავშვები.

# ადოლფ ჰიტლერი

## (დაბადებიდან 54 წლის თავი)

20 აპრილს მთელი გერმანელი ხალხი დღესასწაულობს თავისი ბელადის, ადოლფ ჰიტლერის, დაბადების დღეს. იგი დაიბადა 1889 წელს 20 აპრილს ქ. ბრაუნაუში გერმანიისა და ავსტრიის საზღვარზე. მამა მისი, წარმოშობით გლეხი, მუშაობდა მოხელედ ადგილობრივ საბაჟოში. მამას უნდოდა ადოლფი მოხელედ გაეზარდა, მაგრამ ახალგაზრდა ჰიტლერს უყვარდა მხატვრობა და მიისწრაფოდა გამხდარიყო მხატვარი.

პირველად ის სწავლობდა სახალხო სკოლაში, შემდეგ კი რეალურ. სასწავლებელში.

13 წლის იყო ა. ჰიტლერი, როცა გარდაეცვალა მამა; 17 წლის ასაკისამ დაჰკარგა დედაც. ამ დღიდან იგი იძულებულია იშრომოს ლუკმა პურისათვის. 17 წლის ჰიტლერი მუშაობს როგორც უბრალო მუშა მშენებლობაზე.

18 წლის ა. ჰიტლერი გატაცებულია პოლიტიკით. იგი ეცნობა რა სხვა და სხვა პოლიტიკურ მიმდინარეობებს, სწავლობს მარქსიზმს. გაიცნო რა მარქსიზმის მთელი არსი, იგი შეიქმნა ნამდვილი ანტიმარქსისტი. მან დროზე გაიგო ის საფრთხე, რომელსაც მარქსიზმი უქადდა გერმანელ ხალხს.

ხანგრძლივი შრომის შედეგად 21 წლის ჰიტლერი ხდება მხატვრად. 1912 წელს იგი გადადის მიუნხენში, სადაც არსებობისათვის ბრძოლასთან ერთად გულმოდგინედ სწავლობს თავის საყვარელ პროფესიას—მხატვრობას.

1914 წელს,როცა გაჩაღდა მსოფლიო ომი, ადოლფ ჰიტლერი შედის გერმანიის არმიაში მოხალისედ. მთელი ეს ომი მან გაატარა ფრონტზე, რამოდენიმეჯერ დაიჭრა, სიმამაცისათვის მიიღო ჯილდო.

1914-1918 წლების მანძილზე მან მონაწილეობა მიიღო 47 ბრძოლაში და გამოვიდა გერმანიის არმიიდან ეფრეიტორის წოდებით. 1919 წლის ზაფხულში თავის მცირე რიცხოვან თანამგრძნობებისაგან მან დაარსა გერმანიის მუშათა ნაციონალ - სოციალისტური პარტია.

1919 წლიდან დაწყებული 1933 წლამდე ჰიტლერი დაუღალავად მუშაობს გერმანელი ხალხის პატრიოტული და ნაციონალური გრძნობის აღსაზრდელად. მიუხედავად მასონ-ებრაულ მმართველების ღონისძიებებისა ვერ შესძლეს ამ დიდი ადამიანის ნებისყოფის



დათრგუნვა; მის მიერ შექმნილი პარტია დღითიდღე იზრდებოდა. 1919 წელს იგი შესდგებოდა 64 ადამიანისაგან, 1932 წელს კი მას რიგებში ითვლებოდა 11,5 მილიონი წევრი.

1933 წლის 30 იანვარს გერმანიის პრეზიდენტმა, გენერალ - ფელდმარშალმა ჰინდენბურგმა, მოიწვია იგი გერმანიის სახელმწიფო კანცლერად. ხელისუფლებასთან ერთად მან მიიღო დემოკრატიულ - მარქსისტულ მთავრობებისაგან ეკონომიურად განადგურებული გერმანია, და 7,5 მილიონი უმუშევარი.

სამარცხვინო და დამამცირებელმა ვერსალის ზავმა გაანადგურა გერმანია, გაყო იგი ორ ნაწილად, შეიქნა ე. წ. „პოლონეთის კორიდორი“; გერმანიას წაართვეს ელზას-ლოტარინგია; დასავლეთით მას ჩამოაჭრეს სამი ოლქი და გადასცეს ბელგიას. ბალტიის ზღვაზე, გერმანიის ძველი ნავთსადგური და ქალაქი დანციგი გადააქციეს „თავისუფალ ქალაქად“, რომელიც დაუქვემდებარეს „ერთა ლიგის“ კონტროლს. ძველი გერმანული ქალაქი მემელი, ჯერ გადასცეს ანტანტას და 1923 წელს შეუერთეს ლიტვას. „ერთა ლიგას“ დაუქვემდებარეს აგრეთვე საარის ოლქი. ამ „ზავით“ გერმანიას ჩამოერთვა ყველა კოლონიები. მდინარე რეინის მარცხენა ნაპირი ოკუპირებული იქნა მოკავშირეთა ჯარების მიერ.

სულ რაღაც მოკლე დროის განმავლობაში, 1933 წლიდან 1939 წლამდე ადოლფ ჰიტლერმა შესძლო აეშენებია გერმანელი ხალხის ცხოვრება. უმუშევრობა სავსებით ლიკვიდირებული იქნა. კლასობრივი გათიშვის ნაცვლად გერმანელი ერი შედუღებული იქნა ერთ მთლიან.. ორგანიზმად.

ადოლფ ჰიტლერის მისწრაფება იყო მშვიდობიანობა. მან ტვით განიცადა ომის საშინელება და ცდილობდა აეცდინა იგი გერმანელი ხალხისათვის.

ძლიერი გერმანია საფრთხეს წარმოადგენდა საერთაშორისო ებრაელობისათვის. ებრაელობამ ყოველგვარ ღონეს მიმართა ნაციონალური ვერმანიის გასანადგურებლად. მსოფლიო ებრაელობამ მოაწყო ახალი მსოფლიო ხანძარი იმ მიზნით, რათა დაენგრია ძლევამოსილი გერმანია, მაგრამ ებრაელობა და მსოფლიო ომის გამჩაღებლები ვერ შესძლებენ გერმანიისა და ევროპის დანგრევას, მას სათავეში უდგას დიდი ადამიანი ადოლფ ჰიტლერი.

---

## საომარ მოქმედებათა მიმოხილვა

ტუნისის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. 1-15 აპრილამდე ტუნისის ფრონტზე განადგურებულია ინგლის-ამერიკელთა 200-ზე მეტი ტანკი.

აღმოსავლეთის ფრონტის ცალკეულ რაიონებში კვლავ განახლდა ბრძოლა, რომელიც ზოგიერთ ადგილებში მძაფრ ხასიათს ღებულობს, მიუხედავად ამისა მას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს.

ყუბანის ფრონტზე ბოლშევიკებმა ერთხელ კიდევ სცადეს იერიში მიეტანათ გერმანიის გამაგრებულ ხაზებზე, მაგრამ გერმანიის საჰაერო დაზვერვამ დროზე გაიგო მტრის ოპერაციული მიზნები, ბოლშევიკების იერიშის ცდა განადგურებული იქნა.

გერმანიის რამოდენიმე ასეულმა სხვა და სხვა სახის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს იერიშზე გადმოსულ საბჭოთა ნაწილებს და გაანადგურეს ისინი მანამდე, სანამ მოაღწევდნენ გერმანელთა თავდაცვის მთავარ ხაზს. საბჭოთა ფეხოსანი ჯარის დანარჩენი ნაწილები, რომელიც შემოჭრილნი იყვნენ წინა ხაზზე, გერმანელთა კონტრ-დარტყმის შედეგად ალყა შემორტყმული და განადგურებულია. ამ ბრძოლის დროს გერმანელებმა მოსპეს ბოლშევიკების 50 ტანკი.

მიღებულია ახალი დაწვრილებითი ცბონები გერმანელთა ახალი ტიპის ტანკის „ტიგრის“ მოქმედების შესახებაც. ამ ტანკის განსაკუთრებულ თვისებაზე ლაპარაკობს ერთ-ერთი მომენტი ბრძოლისა, რომელიც ბელგოროდთან მოხდა. „ტიგრის“ სისტემის ერთ ტანკს ტანკსაწინაალმდეგო ქვემეხიდან მოხვდა 247 ყუმბარა, მაგრამ მისი ბრძოლის უნარიანობა ამით არ დაცემულა. ერთი ღამის ბრძოლის დროს „ტ34“ ტიპის ბოლშევიკური ტანკი შეეცადა პირდაპირ დატაკებოდა „ტიგრს“, მაგრამ ამ უკანასკნელმა გაანადგურა საბჭოთა ტანკი. ბრძოლის ამ უბანზე „ტიგრის“ ტიპის სამმა ტანკმა უკუაქცია საბჭოთა 18 ტანკი, ერთმა „ტიგრმა“ მოსპო საბჭოთა 6 ტანკი. მეორემ 4 და მესამემ 2 ტანკი.

ხარკოვის აღების დროს ბრძოლაში რამოდენიმე „ტიგრი“ ღემულობდა მონაწილეობას.

ერთი მათგანი შეიჭრა იმ კვარტალში, რომელიც ეკავათ საბჭოთა მსხვილ სამხედრო ნაწილებს, გაანადგურა რამოდენიმე ბარიკადა და ჩაახშო საბჭოთა ბატარეია. ამის შემდეგ ტანკი წააწყდა ტანკსაწინაალმდეგო ქვემეხს, რომელსაც ბოლშევიკები სთვლიდენ საუკეთესო და სანიმუშო ქვემეხად. მტრის ქვემეხმა ტანკს ცეცხლი გაუხსნა 20 მეტრის დისტანციიდან, მაგრამ ყუმბარები ხვდებოდნენ რა „ტიგრს“ იძლეოდნენ ცეცხლის ნაპერწკალს და ვარდებოდნენ უკანვე უშედეგოდ. რამოდენიმე წუთის შემდეგ „ტიგრი“ დიდი სისწრაფით, გადაიჭირითა ტანკსაწინაალმდეგო ქვემეხზე და გაანადგურა.

სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობა ამ მანძილზე საინტერესო სურათს წარმოადგენს. ინგლის-ამერიკელთა ავიაციის დანაკარგი ყოველდღიურად იზრდება.

აპრილში 6 ჯერ თავდასხმისას, ინგლის-ამერიკის საჰაერო პირატებმა დაჰკარგეს 102 მძიმე ყუმბარმშენი. შტუტჰარტზე თავდასხმის დროს ჩამოგდებული იქნა მტრის 23 ყუმბარმშენი. 17 აპრილს ღამით, გერმანიის ტერიტორიაზე ჩამოგდებულია მტრის 55 ყუმბარმშენი. გერმანიის საზენიტო არტილერია გამანადგურებელი და გადამღობი ცეცხლით .ხვდებოდა მტრის თვითმფრინავებს.

**მიმომხილველი.**

## სტალინის სახეცვლილებანი



დიქტატორი...



სოციალისტური შრომის გმირი...



ხალხთა მამა, „სოციალიზმის გამარჯვებათა“ ორგანიზატორი.



თავისუფალი სოციალისტური შრომა

## ხანჯალო

დ. არაგველი

გაგლესავ ჩემო ხანჯალო,
პირს იკიდებდე ქვალზედა
მტერზე მიგიშვებ დამშეულს,
რისხვას ატეხდე თავზედა!..
ბევრჯერ შეღებე მტრის სისხლით
ეგ შენი თეთრი ტარია,
ქართულ სიწმინდის შემლახავთ
სიცოცხლე გაუმწარია!..
ბრძოლის ქარცეცხლში ნაწრთობი,
წინაპართ ედეგ ფარადა,
შენგან ნაკუწი მტრებისგან
სისხლი დიოდა ღვარადა!..
ჭირი და ლხინი ორივე
ქართველთან გაიზიარე,
პირ-სისხლიანი ელავდი,
ქვეყანა შემოიარე!..
ამომყევ, დროს ნუ ვაყოვნებთ,
შევლეწოთ ციხის კარია!..
შენდა საშველად მომდევენ
ჩემი ხმალი და ფარია!..
კვლავ გიხმობ მამა-პაპურად,
მეძმე, გამიძეხ წინაო!..
მტრის ჯავრი თუ არ ვიყარე
ისე არ მივალ შინაო!..

## ჩემი სამშობლო

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ
და მისროლია ისარი“
სად ალვიძებენ მთა-ველებს
ვაჟას სიტყვები მჭექარი!..
სადაც შხეფს ისვრის, ქაფდება
თერგი მრისხანედ მდინარი;
სად ამეტყველდა ყაზბეგი
უზარ-მაზარი მთის ხარი!..
სადაც დიდი ხნით ბინადრობს
ცად აზიდული მყინვარი,
სად სისხლი ღვარეს წინაპართ
ხევებად ჩამომდინარი!..
სადაც დაჭქროდა უშიშრად
გმირ საააკაძის ისარი...
სად რუსთაველის გენიამ,
საქმე ჰქნა დაუვიწყარი!..
მეც იქ ვიშობე, წალკოტში
ყვავილნი ვყნოსე ნარნარი
დიდება ქართულ მიწა-წყალს,
ჩემი სამშობლო ის არი!!!



ქართული ლეგიონი. ტყვიამფრქვევთან.

## ზეიმი ქართულ ლეგიონში

ქართულმა ლეგიონმა ზეიმით აღნიშნა გერმანიის შეიარაღებული ძალების დღე. 4 აპრილს შუადღისას ლეგიონის სპორტიულ მოედანზე თავი მოიყარეს გერმანელმა და ქართველმა ჯარისკაცებმა, ოფიცრებმა. უკრავდა სასულე ორკესტრი. მოედანზე გაიმართა ამხანაგური შეჯიბრი ფეხბურთში. გერმანელი ჯარისკაცებისა და ლეგიონერების ფეხბურთელთა გუნდების თამაშმა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია.

სპორტიულ მოედანზე აგრეთვე ჩატარდა შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში. ცალკეულმა ასეულებმა ჩაატარეს შეჯიბრი თოკის გაჭიმვაში. კარგი იყო სრული საბრძოლო საჭურველით სხვა და სხვა დაბრკოლებათა გადალახვის ჩვენება. ლეგიონის სკოლის კურსანტებმა დამსწრეებს აჩვენეს საუკეთესო აკრობატიული ვარჯიში, კრივი და სხვ.

საღამოს ლეგიონის კლუბში ახალგაზრდა კომპოზიტორის ლეგიონერ პ. ნ-ლის ხელმძღვანელობით ჩატარდა კონცერტი. მომღერალთა გუნდმა მიმზიდველად შეასრულა სიმღერები „ჰიმნი სამშობლოს“, „სულიკო“, მონადირეთა სიმღერა დასხვ. კონცერტის დასასრულს გაიმართა ცეკვა. ლეგიონერებმა ფ-მა და ქ-ძემ მოხდენილად შეასრულეს „ლეკური“ და „მთიულური“.

## ლეგიონერთა კონცერტი

4 აპრილი საზეიმო დღე იყო ჩვენს ათასეულშიც. მოძმე აზერბეიჯანელებთან და სომხებთან ერთად გავმართეთ კონცერტი. კონცერტის გახსნის წინ სიტყვით გამოვიდა უფროსი ლეიტენანტი ფონ ფოლკერზამი, რომელმაც დამსწრეთ ესაუბრა გერმანელი და ქართველი ხლხის და საერთოდ კავკასიის ხალხთა მეგობრობის შესახებ.
მან მოუწოდა ლეგიონერებს გმირული ბრძოლისაკენ და იმ დიადი ფიცის გამართლებისაკენ, რომელიც თვითეულმა ჩვენგანმა მიიღო.

კონცერტი მეტად მრავალფეროვანი იყო. ლეგიონერებმა გერმანელ ჯარისკაცებს აჩვენეს აფხაზური ცეკვა. ლეგიონერმა ჩ-მა მოხდენილი ცეკვით დამსწრეთა სიყვარული დაიმსახურა. კარგი იყო ჩონგურზე ლეგიონერის მიერ შესრულებული სიმღერები, განსაკუთრებით „ნანა“. ქართული ვაჟკაცობისა და პატრიოტული მგზნებარების ნამდვილი გამოსახვა იყო სიმღერა „ქართველო ხელი ხმალს იკარ“. გერმანელი ჯარისკაცები და სტუმრები აღფრთოვანებაში მოიყვანა ქართულმა ტკბილმა და საყვარელმა მელოდიამ „სულიკო“.

## ქართველი ქალი

(დასასრული)

ყოველი ქართველი მოუფიქრებლად იმეორებს და ძალზე ცოტა დაფიქრებულა იმაზე, რომ ქართული ენის ეს თავისებურება ქართველი ქალის ისტორიული პატივისცემით არის შექმნილი.

ქართული ცეკვები ერთხელ კიდევ ადასტურებენ ქართველთაგან ქალის გაიდეალებას. ქართულ ცეკვებში მამაკაცი ქალს აღმერთებს, ხოტბას ასხამს და მოწიწებით უზიარებს სიყვარულს. ქართულ ქორეოგრაფიაში თქვენ ვერ შეხვდებით ისეთს ცეკვას სადაც მამაკაცი მთელი ტანით ეხებოდეს ქალს, როგორც ეს ამერიკულ ვალს-ბოსტონებში და ტანგოებშია.

ქართველი ქალი ქმრის თანასწორი მეუღლეა წინაალმდეგ აზიელი ქალებისა, რომლებიც იძულებულნი არიან ჩადრი ატარონ და ერთი ქმრის მრავალი ცოლთაგანი იყვნენ. მაგრამ ქართველი ქალი ქმრის უერთგულესი მეუღლეა. როდესაც რუსეთის დიდი მწერალი გრიბოედოვი ტრაგიკულად დაიღუპა, მისი მეუღლე ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ნინო მხოლოდ 16-17 წლისა იყო. მიუხედავად თავისი მომხიბლავი სილამაზისა და ქართულ საზოგადოებრივობაში მაღალი მდგომარეობისა, მან ქართველი მეუღლის პატივი სიკვდილამდე შეინახა, მისი საფლავი, მთოლის გვერდით, მამადავითის მთაზე ქართველი ცოლის ერთგულების მარადიული სიმბოლოა.

გამძაფრებულ ჩხუბში და იარაღის ტრიალში, რომელიც ჩვენს ტემპერამენტიან ხალხს ასე ახასიათებს სინდისის და თავმოყვარეობის დაცვისათვის მოწინაალმდეგეთა დამშვიდება არავითარ ძალას არ შეუძლიან, სისხლიანი მსხვერპლის გაღებამდე. საკმარისია მხოლოდ ქართველი ქალის მანდილის ერთი გაქნევა, რომ დარცხვენილი მამაკაცები სწრაფად ერთმანეთს დასცილდენ.

ოდესღაც, ფშავ-ხევსურეთში საოცარ ჩვეულებასაც ჰქონდა ადგილი: იმისათვის, რომ თქვენ ოჯახის ახლობელი გამხდარიყავით და გამოგემჟღავნებიათ თქვენი პატივისცემა და ერთგულება ამ ოჯახის წინაშე, თქვენ ლოგინში გიწვენდნენ ამ ოჯახის ახალგაზრდა ქალწულს. მეორე დილას თქვენ ქალი ქალწულადვე უნდა ჩაგებარებიათ ოჯახისათვის, წინაალმდეგ შემთხვევაში თქვენ სიცოცხლით აგებდით პასუხს. ეს უდიდესი ასკეტიური გამოცდა თავისებური ფიცი იყო ოჯახის შვილად აყვანის წინ. მხოლოდ ქალისადმი პატივისცემას შეეძლო ასეთი ნათესაური კავშირის შექმნა.

კოლექტივიზაციამდე ქართველი ქალი მძიმე ფიზიკურ სამუშაოს არ ასრულებდა. თქვენ ვერ ნახავდით ქართველ ქალს თოხით ან ბარით ხელში. ეს იყო მიზეზი, რომ ქართველმა ქალმა დღევანდლამდე შეინარჩუნა თავისი სინაზე და მინიატურულობა. რუსული ლირიკის ქურუმებმა პუშკინმა და განსაკუთრებით ლერმონტოვმა სიმღერების, ლექსების და პოემების მთელი პლეადა მიუძღვნეს მას.

ქართველმა დედებმა ბევრი შესანიშნავი შვილები გაზარდეს, რომელთა სახელიც ხშირად საქართველოს საზღვრებსაც სცილდებოდა. ერეკლე მეფეზე პრუსიის მეფემ ფრიდრიხ დიდმა ამაყად წარმოსთქვა: „დასავლეთით მე ვიმარჯვებ აღმოსავლეთით კი მეფე ერეკლეო“. მხედართ მთავარმა ბაგრატიონმა, სუვოროვის ერთგულმა მოწაფემ ფელდ-მარშალ კუტუზოვთან ერთად პირველად დაამარცხა უძლეველი ნაპოლეონი და იხსნა რუსეთი.

200 მილიონიანი რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში პატარა ორ მილიონიანი საქართველოს შვილები ყოველთვის გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ.

დღეს კი დუხჭირი ცხოვრებით განაწამები ქართველი დედა კვლავ მოუწოდებს გადარჩენილ შვილებს იხსნან საქართველო ბოლშევიზმის საშინელებათაგან.

ლეგ. ა. ქ-ი.



ფრონტის მახლობელ აეროდრომზე.

# შეხვედრა უცხოეთში

ჩუმად გჭვრეტდი იმ ღამეს...არც გაცნობა, სალამი!..
თავზე ელნათურები სიხარულად მათოვდა!..
შენ ქართველი გოგონა, შენ თბილისის ალამი!—
სინამდვილის ლადარი სიამაყით მათრობდა!..
მზის სინათლე თითქოს შენ მარტოს დაგილევია,
სულ შეგისვამს ქართული სიყვარულის სიალე.
თვალებს თითქოს უძირო გრძნობის ზღვა ულევია,
ვარდი დაუბნევია ფიქალ მკერდის სიამეს!..
შენ თბილისი არ გახსოვს, შენ თბილისი არ გიცნობს,
საქართველოს ჰაერით ერთხელაც არ დამტკბარხარ,
მაგრამ თითქოს ეს ტანი ჩვენი ლერწმის არისო,
ჩვენი მიწით ხალისობ, მისი კალთით გამთბარხარ!..
მახსოვს კლდეზე ირემი მოღერებულ ყელითა,
მისი გასაოცარად ნაღვლიანი თვალები,
შენ კი ანგელოზი ხარ, შენ იმაზე მეტი ხარ,
შენ მშვენების ღმერთი ხარ,— გამოზრდილი წვალებით.
სახე — თეთრად ელვარე, ჩამოქნილი ბროლივით,
ხმაში სინარნარე და სიტკბო დაულეველი,
როგორც სრული სიკეთე — ბუნებისგან შობილი
წამოსული შორი გზით — ქართლის მზე-ულეველი!..
დაგინახე და გული სიამაყემ დაბურა,
მერე სადღაც სიღრმეში ერთი ძარღვი შეტოკდა,
მზის ნათელი ფიქრების შავმა ნისლმა დამურა,
მას შემდეგ, რაც ვდაგულვარ,—სატაჯველად მეყოფა!..
მე უმანკო გულს არ გთხოვ, ალარც გეჩურჩულები,
ერთხელაც არ დაგიწერ სიყვარულის ბარათებს,
არც პაემანს დავნიშნავ,— ეგ არამსურს სრულებით,
ოლონდ სხვისი გულებიც ტრფობით ნულარ აგანთებს!..
ნუ მოგხიბლავს სილურჯე უცხოეთის მიწისა,
სხვა ფარჩებში რატომღაც უცხოდ მომჩვენებიხარ,
შენ ჩვენი ხარ, ჩვენი ხმა, ჩვენი მიწის და მზისა
ჩვენი მთების გულისა, მისებრ ათასფერიხარ!..

ლეგ. ტ. ყ.

# ბოლშევიკების საშინელი მხეცობანი

## შინსახკომის აგენტების მიერ ვერაგულად მოკლულია 12.000 პოლონელი ოფიცერი

ბიბლიოთეკა

გერმანიის სამხედრო ხელისუფლებამ სმოლენსკში გამოარკვია, რომ 1940 წლის მარტსა და აპრილში პოლონელი ოფიცრების დიდი ნაწილი 12.000 კაცი, რომლებიც პოლონეთის სახელმწიფოს დაშლის შემდეგ მოხვდნენ საბჭოთა ტერიტორიაზე, შინსახკომის აგენტების მიერ ვერაგულად იქნენ დახვრეტილნი „გპუს“ დასასვენებელი სახლის მახლობლად. (სმოლენსკიდან 12 კილომეტრზე, სმოლენსკ-ვიტებსკის გზა).

იმ ცნობების საფუძველზე, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიიღო გერმანიის სამხედრო ხელისუფლებამ, მიმდინარე წლის აპრილში „გპუს“ ყოფილი დასასვენებელი სახლის მიდამოებში ჩატარდა გათხრა. რამდენიმე დღის მუშაობის შემდეგ აღმოჩნდა საშინელი სანახაობა: აღმოჩენილი იქნა ვებერთელა სასაფლაო, რომლის სიგანე 28 მეტრია, ხოლო სიგრძე—16 მეტრი. ამ სასაფლაოში იპოვნეს 3.000 გვამი თავიანთი ტანსაცმელით. ისინი ერთმანეთზე იყვნენ დალაგებულნი. ყველა მათგანი მოკლულია რევოლვერის ტყვიით.

მათი ვინაობის აღდგენა სავსებით შესაძლებელია რადგან გვამები შენახულა ნიადაგის წყალობით, მრავალ მათგანზე შესდგა დოკუმენტი. დახვრეტილთა შორის არის ბრიგადის გენერალი სმორავინსკი ქალაქ ლიუბლინიდან.

სმოლენსკიდან მიღებული ცნობების თანახმად ბოლშევიკების ამ ვერაგული, უმაგალითო მხეცობის შესახებ ირკვევა შემდეგი: ქალაქ სმოლენსკის დასავლეთით 20 კილომეტრის მანძილზე, სმოლენსკ-ვიტებსკის გზაზე არის დაბურული ტყე, რომელიც ვრცელდება მდინარე დნეპრამდე.

ადგილობრივ მცხოვრებთა ჩვენებით გერმანიის ხელისუფლების მოსვლამდე ეს ადგილი იყო დანიშნული სპეციალურ დასახვრეტ ადგილად. მას გარს უვლიდა ეკლიანი მავთული და ედგა გაძლიერებული ყარაული, ამ ადგილს ჰგუშაგობდნენ აგრეთვე საგანგებო ძაღლები. მდინარე დნეპრის ნაპირზე იდგა „გპუს“ დასასვენებელი სახლი სადაც ცხოვრობდნენ შინსახკომის აგენტები. სრულიად შემთხვევით ამ სახლიდან 500 მეტრის მანძილზე აღმოჩენილი იქნა პოლონელ ოფიცერთა საფლავი.

როგორც დადასტურდა ადგილობრივ მკვიდრთა ცნობებით 1940 წლის მარტში და აპრილის პირველ ნახევარში სმოლენსკიდან ყოველდღე მოდიოდა მატარებლები 3-4 სატუსაღო რონოდის შემადგენლობით. დაახლოვებით 200 ასეთი რონოდა მოვიდა. მახლობელ ტყიდან ხშირად მოისმოდა ყვირილი და კვნესა. ხალხში დადიოდა ხმები, რომ ტყეში დახვრიტეს 12 ათასი - 15 ათასი პოლონელი ოფიცერი.

ამ ცნობათა საფუძველზე საველე სამსახურის ოფიცერი, რამდენიმე რუს მოქალაქესთან ერთად გაემგზავრა ტყეში და გორაკზე რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებენ „კოზია გორას“ წააწყდნენ არყის ხისგან გაკეთებულ ორ ჯვარს. ამ ადგილას მოჭრილია ძველი ნაძვის ხეები და დარგულია ახლები. აქ წარმოებული გათხრის შემდეგ აღმოაჩინეს ორმო სავსე გვამებით თავიანთი ტანსაცმელებით, ისინი ელაგნენ 9-12 რიგად ერთმანეთზე. ამ ორმოს ახლოს იყო რამდენიმე პატარა ორმო სავსე მოკლულთა გვამებით.



კატინის ტყეში. გვამის გასინჯვა.

# სამეგრელოს აჯანყება

რუსეთის საქართველოში შემოსვლას მოჰყვა ქართველი ხალხის შევიწროება.ეროვნულად შემჭიდროებული ქართველი ერი სამართლიანად აღუდგა წინ მეფის რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას. რუსული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ათეული წლების განმავლობაში ქართველი ხალხი იარაღით ხელში ებრძვის რუსეთის ბატონობას.

საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში განუწყვეტლივ ჩაღდებიან აჯანყებები. 1804 წელს მთიულეთში იფეთქა ამბოხებამ, 1812 წელს აჯანყდა კახეთი, 1841 წელს გურული გლეხკაცობა გამოვიდა იარაღით ხელში, 1832 წელს ქართულმა მამულიშვილებმა მოაწყვეს დიდი შეთქმულება, რომელიც საქართველოს ეროვნულ განთავისუფლებას ისახავდა მიზნად.

ყველა ამ აჯანყებებს მეფის რუსეთი სასტიკად უსწორდებოდა. დამსჯელი ექსპედიციები სწვავდნენ აჯანყებულთა სოფლებს, კარმიდამოებს, ჰკლავდნენ მეამბოხეებს, აწიოკებდნენ მათ ოჯახებს. რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილ შეიარაღებულ გამოსვლათა შორის აღსანიშნავია 1857 წლის აჯა ყება სამეგრელოში. მას მეთაურობდა სახალხო გმირი უტუ მიქავა.

რუსეთმა საქართველოში შემოსვლის პირველ დღეებიდანვე დაამყარა თავისი რეჟიმი, რომელიც პირველყოვლისა მიზნად ისახავდა ქართული ნაციონალური ცხოვრების დანგრევას, ეროვნული ერთიანობის გრძნობის შელახვას. მეფის რუსეთი ფეხქვეშ სთელავდა ქართველი ხალხის ეროვნულ უფლებებს, რუსეთის ბიუროკრატიული რეჟიმის სიმძიმე მთელი სიმწვავით აწვა კისერზე ქართველ მშრომელ გლეხკაცობას.

განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა საქართველოში მეფის ნაცვალის ვორონცოვის და ბარიათინსკის დროს. მათ ქართველ სკოლებში აკრძალეს დედა-ენა, დევნა დაუწყეს ჩვენს ეროვნულ კულტურას და ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ ნაციონალურ თავისუფლებისათვის ბრძოლის ყველა გამოვლენას.

სამეგრელოს სოფლებში რუსეთის ბიუროკრატია უმსგავსოებას სჩადიოდა. მოთმინებიდან გამოსული ხალხი ეძებდა საშუალებას აღემართა იარაღი. ხალხში დაიბადა ბრძოლის სურვილი. ეროვნული თავმოყვარეობისათვის თავდადების გრძნობა ისე დიადი იყო, რომ მალე ამ მოძრაობას გაუჩნდა. მოთავე სამეგრელოს გლეხკაცობის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ სათავეში უდგება უტუ მიქავა, მან მჭიდრო კავშირი დაამყარა სამეგრელოს მთავართან ნიკო დადიანთან. უტუ მიქავას მთელი სამეგრელო მიჰყვებოდა, ხალხის წიაღში მას გაუჩნდნენ მიმდევრები, როგორიც იყო თოდუა და სხვ. მიქავა ხალხში ატარებდა საუბრებს, ჰქმნიდა ჯგუფებს, მეამბოხე მეგრელები საზღვარგარეთიდან ღებულობდნენ იარაღსა და ტყვიაწამალს.

უტუ მიქავას მოძრაობა გაიზარდა, მოედო მთელს სამეგრელოს.ამ მოძრაობის დროშაზე ეწერა ბრძოლა რუსეთის დამპყრობელი პოლიტიკის წინააღმდეგ. ბარიატინსკი გრძნობდა ამბოხების საშიშროებას. სამეგრელოში მისი ბრძანებით იგზავნება სპეციალური ჯარი, საუკეთესო ოფიცრებით. რუსეთის ჯარის შემოსვლას მთელი სამეგრელო შეხვდა იარაღით, ბრძოლა იმართებოდა სოფელ-სოფელ. განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი ჰქონდა ბრძოლას აბაშაში და ზუგდიდში.

უტუ მიქავა უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა ხალხში. მისი მოწოდება კანონი იყო. „რუსები ჩვენ სამარეს გვიმზადებენ, სუყველა დავიხოცებით ბრძოლაში და რუსებს არ შემოუშვებთ ჩვენს მიწაზე.“ — ასეთი იყო ხალხის ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

უტუ მიქავას რაზმმა გაანადგურა საეგრელოში შესული რუსის ჯარის ნაწილი. საშინელება იყო ბრძოლის ველზე. ისტორიკოსების გადმოცემით დახოცილი რუსების გვამები ერთმანეთზე ეწყო. შეშინებულმა ბარიათინსკიმ იმპერატორ ალექსანდრე მეორეს მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა. „მდგომარეობა მეტის მეტად გამწვავებულია. ხალხი თავგანწირვით იბრძვის. სასტიკად უმკლავდება ჩვენს ჯარს. აჯანყებას მეთაურობს ვიღაც გლეხი უტუ მიქავა, თუ დამატებითი ჯარი არ გაიგზავნა, შეუძლებელია სამეგრელოს აღება.“ ალექსანდრე მეორემ სასწრაფოდ გამოგზავნა დიდძალი ჯარი, 1857 წელს ამბოხებულ სამეგრელოს დიდი ბრძოლა მოუხდა. მტრებმა შესძლეს, სისხლში ჩაეხრჩოთ მეგრელი გლეხკაცობის ამბოხება. მისი მეთაური უტუ მიქავა ვერაგულად მოჰკლეს, გადასწვეს სოფლები, დაარბიეს ოჯახები. სამეგრელოში დამკვიდრდა იმპერიალისტური რუსეთის ბატონობა. რუსეთის პოლიტიკა სულ შემხუთავი აღმოჩნდა ქართველი ხალხისათვის. ქართველ ხალხს იარაღი მაინც არ დაუყრია, იგი დრო და დრო გააელვებდა თავის იარაღს და აღსდგებოდა მჩაგვრელის წინააღმდეგ.

ლეგ. ხ. უ.

## სტალინის სახეცვლილებანი




საკოლმეურნეო მოძრაობის სულისჩამდგმელი.




ხალხთა გამანთავისუფლებელი



მარშალი



მიღწევები...

# ჩვენი გაზეთის მკითხველები

(რედაქციაში მიღებული წერილების მიმოხილვა)

ჩვენი გაზეთის თვითეულ ნომერს პატრიოტული აღმავლობა და აღფრთოვანება შეაქვს ქართველ ლეგიონერებში. რედაქცია ღებულობს მრავალრიცხოვან წერილებს ბრძოლის ველიდან, ლეგიონებიდან, ცალკეულ სამხედრო შენაერთებიდან და ლეგიონერთაგან, რომლებშიაც ნათლადაა გამოხატული სიხარული გამოწვეული მშობლიური გაზეთის კითხვით. ლეგიონერები თავიანთ გაზეთში პოულობენ პასუხს იმ ამაღელვებელ საკითხებზე, რომლებიც დღეს თვითეული პატიოსანი ქართველის გულში დუღან. გაზეთის სტრიქონები მებრძოლ ძმებს ესაუბრებიან დაჩაგრულ სამშობლოზე, ულვიძებენ მათ მამულისადმი ტრფობის გრძნობას, მოუწოდებენ გმირობისაკენ.

ქვემოდ ვბეჭდავთ რამდენიმე წერილს. ისინი დაწერილნი არიან ჩვენი მებრძოლი ძმების ხელით, ამ წერილების თვითეული სიტყვა გამთბარია დიადი მამულიშვილური რწმენით, დაჩაგრული სამშობლოს განთავისუფლების გულმხურვალე წყურვილით.

### პატივცემულო რედაქტორო!

**„მეოთხე თვეა რაც ვისვენებ სანატორიუმში ბერლინის ახლოს. გერმანელი ექიმების მზრუნველობით აღვიდგინე ჯანმრთელობა. მიხარიან რომ მალე დაუბრუნდები მებრძოლ რიგებს და ვიბრძოლებ ჩემს ძმებთან ერთად სამშობლოს განთავისუფლებისათვის. სანატორიუმში სისტემატიურად ვღებულობ ჩვენს გაზეთს „საქართველოს". სიამაყის გრძნობით მევსება გული როცა მას ვკითხულობ. გაზეთში მე და ჩემი ამხანაგები ვპოულობთ სულიერ საზრდოს, ზოგიერთ წერილს რამდენჯერმე ვკითხულობთ. განსაკუთრებით აღმაფრთოვანა ბრ.ძოლის ეპიზოდებმა. ჩემი გადაწყვეტილებაა მალე დავბრუნდე ბრძოლის ველზე, ვიბრძოლო სამშობლოს განთავისუფლებისათვის".**

მებრძოლი სალამით ლეგ. **ა. ე-ძე**

გრაბოვზევის სანატორიუმი.

**გაზეთ. „საქართველოს" რედაქტორს!**

**გაზეთმა „საქართველომ" დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. განსაკუთრებით აღმაფრთოვანებელია მასალები ჩვენი წარმტაცი სამშობლოს ბრწყინვალე ისტორიულ წარსულზე. გაზეთმა გააღვივა ჩვენში მებრძოლი სული, უფრო შეგვაყვარა სამშობლო. ჩვენი ლეგიონერები სწავლობენ და იზრდებიან ამ გაზეთზე. ჩვენი თხოვნაა ნუ მოგვაკლებთ გაზეთის არცერთ ნომერს. გისურვებთ წარმატებას და მეტ მუშაობას სამშობლოსათვის".**

პატივისცემით ლეგ. **მ. ე-ძე.**

ფრაიბურგი.

**გაზეთ „საქართველოს" რედაქციას.**

**„გიგზავნით პატარა წერილს, რომელიც თუ საჭიროდ დაინახოთ მოათავსეთ გაზეთში. გაზეთის სისტემატურად გამოგზავნისათვის დიდ მადლობას გიძღვნით. გაზეთში თქვენს მიერ გადმოცემული ისტორიული მასალები საქართველოს წარსულზე მომჯადოებელ გავლენას ახდენს თვითეულ ლეგიონერზე. ჩვენ მზადა ვართ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლოთ სამშობლოსათვის..."**

პატივისცემით ლეგ. **ა-ძე**

### ძვირფასო მეგობრებო!

**„მე სისტემატური მკითხველი ვარ თქვენი გაზეთისა. გაზეთში მოთავსებული მასალები ამაღელვებელი და მახლობელია თვითეული ქართველისათვის. ჩვენ მებრძოლ ახალგაზრდობას სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მებრძოლ პატრიოტულ გრძნობას გაუღვიძებს ისტორიული მასალები, რომლებიც ასე უხვად იბეჭდება თქვენს გაზეთში. კარგია რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის საკითხებს. მე მოხარული ვარ იმით, რომ რედაქცია დგას მოწოდების სიმაღლეზე. გისურვებთ წარმატებას თქვენს ნაყოფიერ მუშაობაში.**

ქართველური სალამით **ქ. ი-ძე**

ვარშავა.

## პანიკა კანადაში

კანადის რადიომ ამ დღეებში მოაწყო პიესის გადაცემა, რომელშიაც აღწერილია მტრის შემოჭრა კანადის ტერიტორიაზე. ამასთან დაკავშირებით მოსახლეობა შიშმა მოიცვა. პიესის შინაარსის მიხედვით, გამოცხადებული იყო იაპონელთა დესანტის გადმოსხმა ბრიტანეთის კოლუმბიაზე.

ტელეფონებით მთელი რიგი შეკითხვების გამო რადიო იძულებული გახდა შეეწყვიტა პიესის გადაცემა და მსმენელებს აცნობა, რომ ეს იყო თეატრი და არა სინამდვილე.



მახლობელი ზურგიდან — ფრონტისაკენ

## რა სურს ქართველ გლეხს

საქართველო უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა. მისი მოსახლეობის 80 პროცენტამდე მიწად-მოქმედებას მისდევს. სახელმწიფოს მთელი შემოსავლის 69,8 პროცენტს იძლევა სოფლის მეურნეობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობა განსაკუთრებით განადგურდა მთლიანი კოლექტივიზაციის შემოღების დღიდან, მიწის განსაზოგადოებამ მოსპო რა გლეხის პირადი საკუთრება მიწაზე, შრომის მოყვარე გლეხი საკოლმეურნეო დაქირავებულ მუშად გადააქცია. დაიწყო გლეხების გაღატაკება.

თუ გადავხედავთ წარსულს, დავინახავთ, რომ ქართველი გლეხკაცობის სანუკვარი ოცნება ყოველთვის იყო მიწა. ქართველ გლეხს მიწა უყვარს და იგი ისტორიულადაა მასთან დაკავშირებული; ქართველი გლეხი მიწას „დედა-მიწას" ეძახის, ესე იგი მიწაა მისი მშობელი, მისი შემნახავი და აღმზრდელიც კი.

**თუ ჩვენ, დღემდე გაუძელით ისტორიულ ქარტეხილს და შევინარჩუნეთ ჩვენი ეროვნული სახე და გამძლეობა, ამით უსათუოდ უნდა უმადლოდეთ ქართულ მიწას და მის მთავარ მამოძრავებელს ქართველ გლეხობას, რომელიც ყოველთვის წარმოადგენდა ჩვენი ერის ჯანსაღ ნაწილსა და მის მაჯის ცემას.**

ქართული მიწის სიყვარული სისხლში და ხორცში აქვს გამჯდარი ჩვენს გლეხობას. **გლეხკაცმა, რომ თავი დააფასოს თავის ადგილს,**—ამბობდა ილია ჭავჭავაძე,—**უნდა ჯერ გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისი ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ვაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი, სამკვიდროს ეძახის, ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია."**

ქართველი გლეხის ოცნებას მიწაზე ჩვენი პოეტი რაფიელ ერისთავი ამაღელვებლად გადმოგვცემს:

„ე შავი მიწა მაინც, რომ
სასყიდლად არა მქონოდა,
შავ სამარემდინ რა ვიცი
მე რაღა დამალონებდა"... ამბობს

გულდაკოდილი ქართველი გლეხი.

კერძო საკუთრება მიწაზე, საკუთარი მიწა, ადგილ-მამული, აი რისთვის იბრძოდა ჩვენი გლეხკაცობა.

„ე როგორ არი, ვერ მივხვდი
როგორი განაჩენია,
მიწა სხვისაა, ვქირაობ,
შრომა კი მარტო ჩემია"... აღმოხდება ხოლმე გულიდან რაფიელ ერისთავის გლეხს.

საქართველოში ისე როგორც სხვა ქვეყნებში გლეხური მოძრაობის მთავარი საგანი იყო მიწა. ბოლშევიკებმა სწორედ ამ ლოზუნგით შესძლეს მშრომელი გლეხობის გადმობირება; ოქტომბრის, ბოლშევიკური რევოლუციის მთავარ ძალას **ფარაჯაში გადაცმული გლეხობა წარმოადგენდა, რომელიც იბრძოდა მიწისა და თავისუფლებისათვის,** მაგრამ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ბოლშევიკებმა **დაპირება არ გაამართლეს; გლეხობა უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავარდა.**

საკოლმეურნეო წყობილებამ გლეხობა სახელმწიფო მუშად გადააქცია, საზოგადოებრივმა ინტერესებმა ჩაჭლეს —პირადი; დღეს გლეხი მეტს ხნავს, მეტს თესავს, მაგრამ იგი მაინც განიცდის გაჭირვებას, რადგან იგი არ არის ბატონ-პატრონი საკუთარი შრომისა. მისი ნაშრომის უდიდესი რაოდენობა მიდის დამზადებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები დაწესებულია სახელმწიფოს მიერ, მონოპოლია სახელმწიფოს ხელშია; ის „ნარჩენი", რომელიც მას რჩება ყოველგვარი დამზადებისა თუ სავალდებულო ჩაბარების შემდეგ, გააქვს ქალაქში, მაგრამ ქალაქიდანაც გლეხს ვერაფერი მიაქვს, რადგან ქალაქი მას არ აწვდის აუცილებელი მოთხ-

(დასასრული მე-6 გვერდზე)

## ილუსტრირებული მიმოხილვა









გერმანელი ფეხოსნები ტანკთან ერთად მიდიან შეტევაზე. — ცეცხლის ხაზზე. გემრიელი სადილი.—აღმოსავლეთის ფრონტზე გზები დაფარულია წყლით. გერმანელ ჯარისკაცებს უხდებათ მდინარეების გადალახვა.—ევროპის დასავლეთ სანაპირებზე. საზენიტო ტყვიამფრქვევთან.

**შესანიშნავი ადამიანები**

# პაულ ფონ-ჰინდენბურგი

პაულ ფონ-ჰინდენბურგი ეკუთვნის იმ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც მოევლინებიან ხოლმე ერს განსაცდელის დროს. იგი დაიბადა 1847 წელს მხედრის ოჯახში. თვითეულ სამსახურობრივ საფეხურს მან მიაღწია დაუღალავი შრომით. 1914 წელს 22 აგვისტოს როცა აღმოსავლეთის ფრონტზე მდგომარეობა მეტად გართულდა რუსების მხრივ უამრავი ძალების გამო, სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში იგი ინიშნება მე-8-ე არმიის სარდლად. ფონ-ჰინდენბურგმა ჩაატარა ტანნენბერგის ოპერაცია, რომლის შედეგად განადგურებული იქნა გენერალ სამსონოვის მე-2-ე რუსული არმია მაზურსკის ჭაობებთან. ეს იყო ბრწყინვალე სამხედრო ოპერაცია, რომელმაც მსოფლიო სამხედრო დიდება მოუხვეჭა ჰინდენბურგს.

გერმანული იარაღის ეს გამარჯვება გადაიქცა დიდ სახალხო დღესასწაულად. ამ სახელოვანმა ოპერაციამ უდიდესი გარდატეხა მოახდინა მთელს აღმოსავლეთის ფრონტზე. 1914 წლის 1-ლ ნოემბრიდან ფონ-ჰინდენბურგი სათავეში ჩაუდგა აღმოსავლეთის ფრონტზე მომქმედ გერმანიის ყველა სამხედრო ძალებს.

1916 წლის შემოდგომაზე ფონ-ჰინდენბურგი მეთაურობს გერმანიის ჯარების გენერალურ შტაბს და ხდება მთელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად.

როცა გარეშე მტრები იკრებდნენ ძალებს გერმანიის დასამარცხებლად, ისარგებლეს რა შექმნილ მდგომარეობით ქვეყნის შიგნით კვლავ წამოყო თავი ებრაელობამ — გერმანიის ერის ამ უბოროტესმა მტერმა. ქვეყნის შიგნით იწყება უწესრიგობა, ბრძოლა პარტიათა შორის, ქვეყნის მეურნეობის განადგურება. ამ მძიმე მდგომარეობის დროს ერთად-ერთი ადამიანი იყო ფონ-ჰინდენბურგი, რომელმაც არ დასტოვა ქვეყნის სამსახური.

განსაკუთრებულმა და საოცარმა გმირულმა გამარჯვებებმა ფრონტის ყველაზე მძიმე უბნებზე, დაუღალავი ზრუნვა ერზე მეტად მძიმე განსაცდელის დროს, იგი გახადეს გერმანიის ხალხის საყვარელ ადამიანად და ეროვნულ გმირად.

ფონ-ჰინდენბურგმა გააკეთა რა უდიდესი საქმე ქვეყნის თავდაცვის დარგში, იგი თავს ანებებს სამსახურს. მაგრამ ერი კვლავ მოუწოდებს მას სამსახურისაკენ.

ეს დიდი ადამიანი, თავისი ცხოვრების 67 წლის თავზე კვლავ სათავეში ჩაუდგება გერმანელ ხალხს. 1925 წლის 26 აპრილს გერმანიის ხალხი მას ირჩევს პრეზიდენტად. ის იყო ნამდვილი ჯარისკაცი, რომლისათვისაც უცხო იყო პოლიტიკური ცხოვრება ერის ამ განსაცდელისა და მძიმე პირობების ჟამს ასრულებს რა ხალხის სურვილს, როგორც მისი ერთგული შვილი, ხდება პოლიტიკურ მოღვაწედ და ხალხის ბელადად.

მიუხედავად მისი ცხოვრების ხანდაზმულობისა და ღრმა მოხუცებულებისა იგი ახალგაზრდული ენერგიით ჩაუდგა სათავეში ქვეყნის მართვას. მან მიიღო ყოველივე ზომები ვერსალის ზავით განადგურებული ქვეყნის აღსადგენად და დაქუცმაცებული გერმანიის ერთ ორგანიზმად შესადუღებლად.

მან თავის სიცოცხლეში დაინახა გერმანიის ხალხის აღორძინება და გაძლიერება, რომელიც დაიწყო ნაციონალსოციალისტური მოძრაობით ადოლფ ჰიტლერის ხელმძღვანელობით.

1934 წელს 2 აგვისტოს ღრმად მოხუცებულმა პრეზიდენტმა სამუდამოდ დახუჭა თვალი, იგი მოღიმარი სახით გარდაიცვალა, რადგან მან თვით დაინახა თავისი უდიდესი მემკვიდრე, რომელსაც მაგარი ხელით მიჰყავდა და მიჰყავს გერმანია — მისი საყვარელი სამშობლო სახელოვან გზაზე.

ლეგ. გ. ბუგარეთელი.

# რა სურს ქართველ გლეხობას

(დასასრული)

ოვნილების საგნებს; იძულებულია სხვა გზით შეიძინოს მისთვის საჭირო ნაწარმი, ამ ნიადაგზე ადგილი აქვს აუტანელ სიძვირეს და აღვირახსნილ სპეკულაციას, **რასაც განადგურებამდე მიყავს სოფლის მეურნეობა, ეროვნული სიძლიერე ჩვენი ხალხისა.**

საბჭოთა მთავრობის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკამ გააპარტახა ქართველი გლეხი, იგი დაადგა გაჩანაგების გზას და ლუკმა-პურის საშოვნელად ქალაქს მოაწყდა. 1940 წელს იმდენად დამშივდა ქართველი გლეხობა, რომ ქალაქში ჩამოდიოდა გამომცხვარი პურის სასყიდლად.

ჩვენი, ქართველი ლეგიონერების, მიზანია: განთავისუფლებულ, ახალ საქართველოში, **აღსდგეს ქართული სოფელი, მიწა უნდა გადაეცეს მიწის მუშას (გლეხს) კერძო საკუთრებად, უნდა აღსდგეს მიწის კერძო საკუთრების ინსტიტუტი.** საკოლმეურნეო მიწები და ის მიწები, რომელიც მიეზომათ საბჭოთა მეურნეობებს სახელმწიფოს მიერ **განაწილებული უნდა იქნეს გლეხებზე კერძო საკუთრების უფლებით.** მიწა გამოყენებული უნდა იქნეს საერთო კეთილდღეობისათვის; **ამის გამო მიწა უნდა მიეცეს მხოლოდ და მხოლოდ მიწის მუშას საკუთრებად. უნდა აიკრძალოს მიწის** ყიდვა და გაყიდვა, მიწის დამუშავება ერთ და იმავე დროს იქნება მოვალეობა ერის წინაშე. **თავისუფალ საქართველოში ადგილი არ ექნება მიწაზე პრივილეგიურ ჯგუფებს; მიწის მეპატრონე იქნება ის, ვინც მიწას ამუშავებს.**

„გლეხობა — ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენი ეროვნული იმედებისა," როგორც დიდი ილია იტყოდა, ნივთიერად და კულტურულად უნდა ამაღლდეს და ამ ნიადაგზე უნდა გაძლიერდეს ქართული სოფელი, ჩვენი ეროვნული სიძლიერის წყარო.

გარდა ამისა სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის, ჩვენ ვითვალისწინებთ სასოფლო-სამეურნეო ბანკების მოწყობას, რომელიც ფულად დახმარებას გაუწევენ კერძო მეურნეს მიწადმოწყობის საქმეში. ამასთანავე ერთად გლეხური მეურნეობის განვითარებისათვის საჭიროა სამეურნეო სკოლების გახსნა, საცდელ მინდვრების, სათემო სამანქანო სახელოსნოების მოწყობა და სხვ.

როგორც ვთქვით, მიწაზე აღდგენილი იქნება კერძო საკუთრება. გლეხს ამავე დროს უნდა მიეცეს სამოსახლო მიწა და საძოვარი. **ყველა ამაზე აღდგენილი** იქნება კერძო საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება, რომელიც დაცული იქნება სახელმწიფო კანონით.

**მიწა მიწის მუშას, ქართველ გლეხს, კერძო საკუთრებად, სამემკვიდრეო უფლებით — აი ჩვენი ბრძოლის აზრი და დანიშნულება.**

ლეგ. დურუჯელი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ლეგ. ასეულის მეთაური **გ. მადაურიძე.**
წერილები უნდა გამოიგზავნოს
შემდეგი მისამართით:
**Georgische Zeitung, Berlin W 35, Am Karlsbad 28**

ქართული სტამბა, ბერლინი.